ჯგუფი ენერგო-პრო

უსაფრთხოების პოლიტიკა

2021

ENERGO-PRO

უსაფრთხოების პოლიტიკა (“პოლიტიკა”)

1. შესავალი

ჩვენი საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა ჰიდროენერგეტიკა. ჩვენ ვაწარმოებთ ჰიდროელექტროსადგურების ოპერირებას ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში, შავი ზღვის რეგიონსა და კავკასიაში. ასევე ჩართული ვართ ელექტროენერგიის დისტრიბუციისა და ვაჭრობის სფეროში, ვამუშავებთ მაშტაბურ სადისტრიბუციო ელექტროქსელებს ბულგარეთში და საქართველოში, 2.3 მილიონზე მეტი ელექტროქსელის მომხმარებლით.

ჩვენი კომპანია დაარსდა 1994 წელს ჩეხეთის რესპუბლიკის ქალაქ სვიტავიში. ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში ეკონომიკური გარდამავლობის პერიოდში კომპანია მონაწილეობდა ჰიდროელექტრო სექტორის მოდერნიზაციასა და რეაბილიტაციაში. ჩვენი ელექტროსადგურების ჯამური დადგმული სიმძლავრე 1,243 მეგავატია, ხოლო წლიური გენერაცია 3.8 ტერავატ/სთ-ს აღემატება.

მულტინაციონალურ ჯგუფ „ენერგო-პროს“, რომლის სათაო ოფისი გახლავთ ქ. პრაღაში, ერთ-ერთი კომპონენტია წყლის ტურბინების მწარმოებელი სლოვენური კომპანია Litostroj Power d.o.o., რომელიც ახორციელებს მნიშვნელოვან პროექტებს 60-ზე მეტ ქვეყანაში მსოფლიოს მასშტაბით. ჩეხეთის რესპუბლიკაში რეგისტრირებული მისი შვილობილი კომპანია Litostroj Engineering a.s. (ყოფილი ČKD Blansko Engineering, a.s.) ორიენტირებულია კვლევით, დაპროექტების და საინჟინრო სამუშაოებზე. Litostroj Group ასევე აწვდის ჰიდროელექტროსადგურების მოწყობილობებს, მათ შორის ტუმბურ ჰიდროსადგურებს და სატუმბ სადგურებს.

„ენერგო-პრო“ მოწოდებულია დაიცვას სამუშაო ძალის, კონტრაქტორების, ვიზიტორების და იმ საზოგადოების უსაფრთხოება, რომელზეც ჩვენი საქმიანობა გავლენას ახდენს. „ენერგო-პრო” იცავს გაეროს ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციის პრინციპებს, გაეროს ბიზნესისა და ადამიანის უფლებების წამყვან პრინციპებს, უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებების შესახებ ნებაყოფლობით პრინციპებს და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის დეკლარაციაში წარმოდგენილ შრომის ფუნდამენტალურ უფლებებს და პრინციპებს. „ენერგო-პრო“ მოითხოვს, რომ ყველა თანამშრომელმა, ვიზიტორმა, კონტრაქტორმა და ქვეკონტრაქტორმა დაიცვას ეს პოლიტიკა.

2. მიზნები

ამ პოლიტიკის მიზნებია:

- უზრუნველყოს უსაფრთხო სამუშაო გარემო ყველა თანამშრომლისთვის, კონტრაქტორისთვის, ქვეკონტრაქტორისთვის და ვიზიტორისთვის, ასევე ოპერაციების, ობიექტებისა და აქტივების მთლიანობა;
- მენეჯმენტისა და თანამშრომელთა ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა;
- პატივი სცეს და გამოავლინოს კარგი საერთაშორისო სამეწარმეო პრაქტიკა (GIIP) ადამიანის უფლებებთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებით;

3. მოთხოვნები

„ენერგო-პრო“ აცნობიერებს უსაფრთხოების ცნობიერების და დისციპლინის კულტურის განვითარების აუცილებლობას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მუშაობენ დისტანციურ ან რთულ გარემოში. ამ პოლიტიკის სპეციფიკური მოთხოვნებია:

I. უსაფრთხოების მენეჯმენტი

ქვეყანაში უფროსი მენეჯმენტი ვალდებულია უზრუნველყოს ყველა ოფისისა და ოპერაციის / პროექტის უსაფრთხოება და რომ უსაფრთხოების საკითხებში დაინიშნოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალი. მშენებლობის / ექსპლუატაციის ყველა ობიექტს უნდა ჰქონდეს სამშენებლო / ოპერაციული უსაფრთხოების მართვის გეგმები, ასევე უსაფრთხოების რისკის შეფასების, ინციდენტის შეტყობინების, მენეჯმენტის და ევაკუაციის გეგმა(-ები). საფრთხის დონიდან გამომდინარე დაწესებულებას სადაც უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები მაღალია, ადგილზე უნდა ჰქონდეთ უსაფრთხოების მართვის გეგმები. უსაფრთხოების მართვაში იგულისხმება შემდეგი:

- საფრთხის შეფასება და მენეჯმენტი: რისკის შეფასება არის ამოსავალი წერტილი უსაფრთხოების მართვის ნებისმიერი გეგმის შემუშავებამდე. რისკის შეფასება განსაზღვრავს არსებული და პროგნოზირებადი უსაფრთხოების რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია პროექტთან / ოპერაციებთან. თითოეულმა პროექტის / ოპერაციის დროს უნდა ჩაატარდეს საბაზისო უსაფრთხოების რისკის შეფასება, შესაბამისი დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით და სათანადოდ მომზადებული უსაფრთხოების პერსონალის / კონსულტანტების ჩათვლით. ის უნდა ითვალისწინებდეს საერთაშორისო, იურიდიულ და ასევე კომპანიის მოთხოვნებს. რისკების შეფასების გადახედვა მოხდება ყოველწლიურად ან რაიმე მნიშვნელოვანი უსაფრთხოებასთან დაკავშირებული შემთხვევისას. რისკების შეფასების სიხშირე დამოკიდებულია შემდეგ თემატიკაზე (i) ისტორიული; (ii) პოლიტიკური; (iii) სოციალურ-ეკონომიკური; (iv) ეთნიკური საკითხები; (v) რელიგიური მოსაზრებები; (vi) ტერორისტული ჯგუფების ან ექსტრემისტების ყოფნა ან მათი არსებობა; (vii) ოპორტუნისტული დანაშაულებრივი საქმიანობა; (viii) სამართლებრივი და შესაბამისობა; (ix) ადგილმდებარეობა; და (x) მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი კონფლიქტები.

- რისკის შეფასებისას გათვალისწინებული იქნება შემდეგი საფრთხეები:
  ფიზიკური საფრთხეები:
  - ✓ შეიარაღებული თავდასხმა (ტერორისტის/კრიმინალის მიერ)
  - ✓ ადამიანის გატაცება, გამოსასყიდი, გამოძალვა
  - ✓ მასპინძელი ქვეყნის მთავრობის დამხობა
  - ✓ ეროვნული/ადგილობრივი სამოქალაქო არეულობა
  - ✓ ქურდობა
  - ✓ ტრანსპორტირება
  - ✓ დაბინავებასთან დაკავშირებული პრობლემები
  - ✓ გეოგრაფიული/კლიმატური მოვლენები
  - ✓ სიშორე

  არაფიზიკური საფრთხეები:
  - ✓ დაშინება ან იძულება

- ✓ ეკონომიკური იძულება შანტაჟის ჩათვლით
- ✓ რეპუტაციის ან სახელის შელახვა
- ✓ IT დარღვევა და ოპერაციული უმოქმედობა
- ✓ კულტურული განსხვავებები

- ეროვნული და ადგილობრივი უსაფრთხოების შესაძლებლობები: უსაფრთხოების საკითხებში პარტნიორების შეფასება უნდა გაკეთდეს უსაფრთხოების მომავალი მხარდაჭერის შესაძლებლობების გასაგებად. ეს შეიძლება მოიცავდეს ეროვნული, რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლების უსაფრთხოების ძალებს, სამართალდამცავი ორგანოებს, სამხედროებს, ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ მთავრობებს, კერძო უსაფრთხოების კომპანიებს, საელჩოებსა და საკონსულოებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს ან ასოციაციებს და ადგილობრივ საზოგადოებრივ ლიდერებს.
- კონტროლი და შემცირება: როგორც კი საფრთხე გამოვლინდება ამუშავდება არსებული რეგულაციები.
- უსაფრთხოების მენეჯმენტის გეგმები: ყველა გეგმა მორგებული იქნება პროექტის / ოპერაციების მოთხოვნებსა და მიზნებზე. გეგმებში აღწერილი იქნება, თუ როგორ უზრუნველყოფს თითოეული პროექტი / ოპერაცია უსაფრთხოებას და შეამცირებს მასთან დაკავშირებულ რისკებს. იგი განიხილავს საქმის კომპლექსურობას კულტურული, გეოგრაფიული და პოლიტიკური ფაქტორების გათვალისწინებით.

II. უსაფრთხოების კონტრაქტორები

უსაფრთხოების კონტრაქტორების ჩართვამდე „ენერგო-პროს" რეგიონალური ოფისები ჩაატარებენ პოტენციური უსაფრთხოების კონტრაქტორის სამართლებრივ შეფასებას ადამიანის უფლებების სფეროში. ადამიანის უფლებათა შესაბამისობის შეფასების (HRCA) კვლევის ნიმუშის მიღება შესაძლებელია სათაო ოფისის მოთხოვნის საფუძველზე.

III. საზოგადოება და ადგილობრივი ხელმძღვანელობა

უსაფრთხოების გეგმების შემუშავებისა და განხორციელებისას საჭიროა საზოგადოების გავლენების გაცნობიერება. უსაფრთხოების თანამშრომლებმა მჭიდროდ უნდა ითანამშრომლონ შესაბამის სოციალურ გუნდებთან, რათა შეამცირონ უარყოფითი ზემოქმედება ადგილობრივ თემებზე.

ჩვენ ვერ შევაფასებთ თემებთან და ადგილობრივ ხელისუფლებასთან კარგი სამუშაო ურთიერთობების დამყარების მნიშვნელობას. ყველა ობიექტი თავად დაამყარებს საზოგადოებაზე დაფუძნებული უსაფრთხოების ურთიერთობების მენეჯმენტს.

IV. ადამიანის უფლებები

ENERGO-PRO– მ შეიმუშავა ადამიანის უფლებათა პოლიტიკა, რომელიც გვაწვდის დეტალურ ინფორმაციას ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით ჩვენს მოლოდინებზე. ადამიანის უფლებათა პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა უსაფრთხოება და კონფლიქტი, რომელშიც ნათქვამია:

"ჩვენ ვაცნობთ ჩვენს უსაფრთხოების კონტრაქტორებს ადამიანის უფლებებისა და ჩვენს პარტნიორებთან და დაინტერესებულ მხარეებთან სათანადო ქცევის შესახებ. კონტრაქტის დადებამდე ვატარებთ უსაფრთხოების კონტრაქტორების სამართლებრივ შეფასებას. ჩვენ მხარს ვუჭერთ კომუნიკაციას, კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებას და კონსენსუსის ჩამოყალიბებას პარტნიორებთან და დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობისას. ჩვენ მკაცრ კონტროლს ვამყარებთ ძალის გამოყენებაზე და მაქსიმალურად ვზღუდავთ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებას ჩვენს ობიექტებზე ".

V. პასუხისმგებლობა

- უფროსი მენეჯმენტი, მათ შორის ობიექტის მენეჯერები, საბოლოოდ პასუხისმგებელნი არიან უსაფრთხოებაზე;
- უფროსი მენეჯმენტი ვალდებულია ობიექტი უზრუნველყოს სათანადო ფინანსური და ადამიანური რესურსებით უსაფრთხო გარემოს შესაქმნელად და შესანარჩუნებლად;
- უსაფრთხოების ყველა ინციდენტი და საზოგადოებასთან დაკავშირებული საჩივრები დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ხელმძღვანელობას, მათ შორის ინფორმაცია გამოძიების ანგარიშებსა და კონტროლის ზომებზე.

4. გავრცელების ზონა

ეს დოკუმენტი ხელმისაწვდომია კომპანიის ვებ-გვერდზე. იგი შეიცავს სტანდარტულ ბიზნეს წესებსა და პირობებს, რომელთა გადახედვა შეიძლება მოხდეს კომპანიის ხელმძღვანელების, მენეჯმენტის, თანამშრომლების, კონტრაქტორებმის და ქვეკონტრაქტორების მიერ. ეს პოლიტიკა განიხილება რეგულარულად და განახლდება საჭიროების შემთხვევაში, პარტნიორებისა და დაინტერესებული მხარეების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, პერიოდული, სისტემური და შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის შიდა აუდიტის ჩატარებით.

5. ძალაში შესვლა

პოლიტიკის ეს ვერსია ძალაშია 2021 წლის 15 ივლისიდან.